**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1891


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 23 ნოემბერს**

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, რადგან 1 ნოემბრამდე საპრემიოდ ერთის მოთხრობის მეტი არ იქმნა წარმოდგენილი, ამისითვის გამგეობა ხელმეორედ აცხადებს ორს პრემიას საუკეთესო ისტორიულის მოთხრობისათვის. პირობები წინანდელია: პირველი პრემია 200 მან. და მეორე 100 მან. პირველს პრემაზე მოთხრობა უნდა იქმნას დაწერილი არა ნაკლებ 10 ბეჭდურის თაბახისა და მეორე არა ნაკლებ 5 თაბახისა. პრემიით დაჯილდოვებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეგზ., რომლის გაყიდვის შემდეგ ავტორს ეძლევა უოველიკე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნენ 1 ნოემბრამდე 1892 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილის კონვერტით. ადრესი: Правленію грузинскаго издательскаго товарищества въ Тифлисѣ

(5—3)


**ხუთშაბათს, 21 ნოემბერს,**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრში

**უკანასკნელს**



სპირიტულსა და სამედიუმო წარმოდგენას გაჰმართავს მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის არტისტი, წევრი ბერლინის საფიზიკო კაბინეთისა, ჩვენის დროის პირველი პრესტიდიჟატორი, ნ. ა. კაზლოვი.

ბილეთების ყიდვა ეხლავე შეიძლება თეატრის კასსაში. (2—2)


## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, სამშაბათს, 19 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ქ-ნ ნ. მ. გაბუნიას მონაწილეობით წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი და ოთხ-სურათიანი კომედია აქვ. ცაგარლისა „ხანუმა“ და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ადვოკატთან“. ორივე პიესა ლამაზად ჩაატარეს ჩვენმა არტისტებმა. გაბუნია საუცხოვო ხანუმა იყო და ვ. აბაშიძე—საუცხოვო აკოფა. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

*** თავ. ივანე იოსების ძის ვაჩნაძისაგან მოგვივიდა ჩვენის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სახელობაზედ დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ მის მიერ ქ. ტფილისში შეკრებილი 14 მან. და 50 კაპ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 229 მანეთი. ამით შესდგა 243 მან. 50 კაპ. აქვე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც:

გიორგი ვაჩნაძემ—2 მ., ივანე ვაჩნაძემ—1 მ., ივანე ბებურიშვილმა—1 მ., ლავრენტი ჩიტაძემ—50 კ., იოსებ გველესიანმა—1 მ., ივანე ბეჟანიშვილმა—1 მ., სამსონ წერეთელმა—1 მ., სარდიონ ყულიჯანოვმა—1 მ., ალექსანდრე გუნდიევმა—1 მ., კონსტანტინე დავიდოვმა—1 მ., მიხეილ აბირაძემ—50 კ., ნიკოლოზ კარახანოვმა—1 მ., სიკო უთიაშვილმა — 55 კ., ვასილ ბეგიჯანოვმა—40 კ., დავით მკერვალოვმა—40 კ., უცნობმა—15 კ., ილიკო მამულოვმა 40 კ., სიმონ ნამორაძემ—20 კ., ლევანმა—20 კ., ალექსი ტიტანოვმა—20 კ. სულ 14 მ. და 50 კ.

*** დღეს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრში სათვალთმაქცო სპირიტულს წარმოდგენას გაჰმართავს ბ-ნი კაზლოვი, რომელმაც წარსულს კვირას გაჰმართა წარმოდგენა და დიდ-ძალი ხალხიც მიიზიდა. როგორც შევიტყეთ, ბ-ნს კაზლოვს განზრახვა აქვს ამ ორის წარმოდგენის შემდეგ ერთი წარმოდგენაც ტფილისში მყოფ რუსეთის მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიების მკვიდრთა სასარგებლოდ გაჰმართოს.

*** გუშინ-წინ, 19 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ ახლად ამორჩეულმა თავმჯდომარემ ობოლთა სასამართლოსამ, თ. ი. გ. მაჩაბელმა, ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრების თანადასწრებით, ფიცი მიიღო და შეუდგა თავისის ახალის თანამდებობის აღსრულებასა.

*** კვირას, ამ თთვის 24-ს, ბათუმის მუდმივი ქართული დრამატიული დასი წარმოდგენას მართავს ბენეფისად ი. მჭედლიშვილისა. წარმოადგენენ: „ბაიყუშს“, „ახირებული“-სა და „დედა და შვილს“.

*** სალმასტიდგან (სპარსეთშია) სწერენ გაზეთს „მშაკს“, რომ ბელლეტრისტის რაფფის დედა, რომელიც სოფ. პაიაჩუკში სცხოვრობს, დიდს სიღარიბესა და გაჭირვებაშიაო.

*** გაზ. „ტ. ლ.“-ი ამბობს, რომ, რადგან დიდ-ძალი ხორბალი ჩამოვიდა ტფილისის ბაზრებში, ფქვილის ფასმა ძალიან დაიწიაო. წარმოიდგინეთ, ფუთი ფქვილი ამ ჟამად 85—80 კაპ. ფასობს და გამომცხვარი პური-კი ფუთი შვიდი და რვა აბაზია. თუ მხედველობაში ვიქონიეთ, რომ ყოველი ფუთი ფქვილი გამოცხობაში ნახევარის ფუთით ჰმატულობს, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ეხლანდელ ნიხრის დროსაც მეფურნე-მეპურეები ერთი-ორად იგებენ. ამის გამო სწორედ დროა, რომ ქალაქის გამგეობამ განიხილოს ეხლანდელი ნიხრი და შეამციროს კიდეც პურის ფასი.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ის სიტყვით, შაბთს, 17 ნოემბერს, ღამის 12 საათზედ, ტფილისიდგან რამდენისამე ვერსის მანძილზედ, წმ. ბარბარეს ეკკლესიის იქიდგან, ხუთი ავაზაკი შესცვივნიან მედუქნეს შახნაზაროვს, კეტებით თავი გაუტეხიათ თვით დუქნის პატრონისა და იმის 14 წლის მოჯამაგირისათვის და დახლიდგან წაუღიათ რვა თუმანი ფულად, ვერცხლის ქამარი და ერთი ცხენიც წაუყვანიათ. ავაზაკები გაქცეულან და ჯერაც ვერ უპოვნიათ, თუმცა ყოველივე ღონეა ნაღონები მათ დასაჭერად.

18 ნოემბერს სოლოლაკის ქუჩაზე სახლში მიმავლობის დროს უეცრად გარდაიცვალა ქვრივი სოფიო ლალაევისა

*** ამავე დღეს, დილის 11 საათზე, მეჩეთის ქუჩაზე მაკარ მნაცაკანოვმა პოვოზკა მოსდო სახლის კიბეს. კიბეზე კალატოზი სარქის ივანოვი მუშაობდა, გადმოვარდა პოვოზკის თვლების ქვეშ მოჰყვა, თვლებმა ზედ გადაუარა და მძიმედ დააშავა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

*** ამ თთვის 19 გრიქულ აგანესიანცმა პოლიცაში გამოაცხადა, რომ ხარფუხში, პეტროვის სახლში სადგური გამიტეხეს და 69 მანეთის ხალიჩა და სხვა ნივთეულობა მომპარესო.

## წერილი გურიიდგან

მესამე წელიწადი არის მას შემდეგ, რაც ოზურგეთში ორმა ახალგაზდა კაცმა სტამბა და წიგნთ-საცავი გამართა და ამ დროიდამ იწყება ოზურგეთისთვის ახალი ხანა წინმსვლელობისა და გონებითის განვითარებისა. ახლად დაარსებულმა წიგნ-საცავმა უცებ მიიზიდა გურიის ახალგაზდობა, გაუღვიძა მას ცნობის მოყვარეობა, შეაჩვია კითხვასა, მსჯელობას, ერთის სიტყვით, ეს წიგნთ-საცავი შეიქნა საუკეთესო მოსამზადებელ სკოლად გურიის ახალ თაობისთვის. გამართეს რა წიგნთ-საცავი, არა ზოგავდნენ არა საშუალებას მუშტრის მიზიდვისათვის. ამ აზრით მოიპოვეს ყველა ჩვენის მწერლის ნაწარმოებნი, გამოიწერეს თხზულებანი რუსეთის საუკეთესო მწერლებისა, დაიბარეს რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი და ყველა ქართული გაზეთები, რომლებსაც ძალათ აჩეჩებდნენ ხელში ყველა გამვლელ-გამომვლელს საკითხავად შემდეგის სიტყვებით: „აი, წაიკითხეთ ეს, რა მშვენიერი მოთხრობაა, ნამდვილ გურიის ცხოვრებიდან ამოკრებულიო, ეხლა მეორეს მიიუბრუნდებოდენ და ეტყოდენ:“ შენ ეს აკაკის ბოდვა წაიკითხე, ქალებზე რაებს სწერსო“. შეიძლება ამ ნაირათ ძალათ მაცხოვრებლებისთვის, კახეთში რომ ყოფილიყვნენ ან ქიზიყში, არავის ყურადღება მიექცია, მაგრამ გურულები სხვა ხალხნი არიან. გურულები საზოგადოდ ბუნებით არიან ცნობის მოყვარენი. ამიტომ, როდესაც გურულს გაზეთს აძლევენ ხელში და ეუბნებიან: „წაიკითხეო“, ზდილობა ნებას

# ფელეტონი

## დადიანი ცოტნე

და

მისი ვინაობა

(მე-XIII-ე საუკუნე)

ცოტნე დადიანის და მისის დედმამის კარგად შენახული ფრიად შესანიშნავი სურათი ჩვენ ვიპოვნეთ ხობის მონასტრის სამხრეთს კედელზე, სამეგრელოში.

ცოტნე დადიანი დიდად ცნობილია ჩვენს ისტორიაში. მისს სახელს მემატიანენი ყოველგან დიდის პატივით იხსენებენ: „დადიანი ცოტნე, კაცი წარჩინებული და სათნოებიანი“ (ქ.-ცხ. I, 357); „პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი“ (ქ.-ცხ. I, 364, 371); „სათნოება-მაღალი და საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი“ (ქ.-ცხ. 375—376).

ცოტნე დადიანი პირველად სჩანს უბედურს დროს რუსუდანის მეფობისას. მან გადიხადა ფიცხელი ომი ჯალ-ედდინ სულთნის აურაცხელს მხედრობასთან, სადაცა იძლივნენ ქართველნი. შემდეგ ქართველობა ებრძვის თემურლენგის მხედრობათა, მაგრამ ამაოდ: გარყვნილმა დრომ გიორგისა და რუსუდანისამ აჰყარა ქართველს მეომარს ის ჯაჭვ-ჩაჩქანი, რომელიც ყოველგან და ყოველთვის იყო ჭეშმარიტი საფუძველი მხნეობისა და უძლეველობისა—წმიდა ზნე-ნამუსიანობა—და შეურყია თვით დედაბოძი ძლიერებისა—სარწმუნოება. ქართველნი იძლივნენ ერთმანეთის მტრობითა, შენ-ჩემობითა. ამას შემდეგ ქართველნი ერისთავნი თითო-თითოდ, თავისის ნებით, ერთმანეთის დაუკითხავად მიემხრნენ მონგოლებს და მათს მონებაში შევიდნენ. რუსუდან მეფე მონგოლების შემოსვლამდევე ქუთაისს გაიქცა და იქ განცხრებოდა თავისს საყვარელ ორტულიშვილთან. რუსუდანის სიკვდილს შემდეგ (1231 წ.) ცოტნე დადიანს და რაჭის ერისთავს მიანდვეს საბატონოდ „ყოველი იმერი სამეფო“; დროებით მოისპო მეფობა; მეფობის მეძიებელნი დავით გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე სახვეწნელად წავიდნენ ყარაყორუმს (შუა აზიაში), სადაც იჯდა იმ დროინდელი ქვეყნის მბრძანებელი, რომელსაც მტკიცედ ეჭირა მთელი აზია და რუსეთი, და იქ დიდ-ხანს დარჩნენ.

მონგოლების ბატონობამ ძალიან შეაწუხა ქართველობა. მაშინ საქართველოს უფროსი კაცები, იმერ-ამერნი, შეიკრიბნენ „თავსა კოხტისასა“, ე. ი. კორტოხის თავზე. აქ იყვნენ ერისთავები: შანშე, ერგასალ, დადიანი ცოტნე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, „კუპრო შოთაჲ“, რომელსაც ესე უწოდდენ სიშავისთვის, სარგის თმოგველი, კაცი განთქმული სიბრძნითა და ფრიად ცნობილი ჩვენს მწერლობაში, თორელი გამრეკელი და სხვებიც მრავალნი. აქ ყველანი ამას ამბობდნენ: „რა ვქნათ, მეფე არა გვყავს, რომ წინ გაგვიძღვეს, შეგვაერთოს და გვაბრძოლოს თათრებთან (მონგოლებთან). ჩვენ-კი ერთი მეორეს არ ვემორჩილებით, ვმტრობთ და ამის გამო ღონე არა გვაქვს წინააღვუდგეთ თათართა, ხოლო თათრები, ამის მიმხედველნი, მეტად გვაწუხებენ, ყოველს წელს წაგვასხამენ ხოლმე საბრძოლველად საქართველოს გარეშე და ამასობაში დიდს ჭირსა და ბოროტებას ვითმენთო... ახლა შევვერთდეთ, შევკრბეთ და ვებრძოლნეთ თათართაო“. ყველანი დასთანხმდნენ; დააპირეს ომი თათრებთან და ადგილი დანიშნეს ქართლს, სადაც უნდა შეყრილიყვნენ იმერ-ამერნი.

მაშინ იმერი ერისთავნი, დადიანი ცოტნე, მისი ძმა ბედიანი და რაჭის ერისთავი წავიდნენ იმერეთს ჯარის შესაყრელ-შესაკაზმად. ამასობაში მონგოლებმა გაუგეს შეთქმულობა, უეცრად დაესხნენ კოხტას თავსა, სადაც ქართლ-კახ-მესხთა დიდ-კაცები ისევ გაუყრელნი იყვნენ და ჯერ

არ აძლევს ამ ნაირის თავაზით თხოვნას ზურგი შეაქციოს და ცნობის მოყვარეობა-კი „ეუბნება:“ გამოართვი და წაიკითხე, სასყიდელს ხომ არ გახდევინებენო“. ასეთის ხერხით ამ წიგნ-საცავმა მალე მოიპოვა საზოგადოების რწმუნება და სიყვარული. ბევრნი სოფლებიდგანაც-კი მოდიან გაზეთების და წიგნების საკითხავად. აქ, სიმართლე ითხოვს, მოვიხსენიო, რომ უხეირო და უსარგებლო შინაარსის წიგნები, როგორიც არის, მაგალითად: სიზმრის ახსნა, ქალ-ვაჟიანი, კინტოს ახსარება და სხვანი, აქ ერთიც არ მოიპოება, თუმც ამაებს აქაც კარგი ბაზარი ექნებოდა. აქედან ცხადად სჩანს, რომ თუ კაცი ცოტა ოდენი შეგნებულია და თან პატიოსანიც, შეუძლია საკუთარი ინტერესიც დაიცვას და საზოგადოებასაც სარგებლობა მოუტანოს.

ამ უკანასკნელ დროებში ოზურგეთსა და ბათუმს შორის დიდი მისვლა-მოსვლა არის გაჩაღებული და, რადგანაც ოზურგეთიდგან რკინის გზის სადგურამდის საკმაო მანძილია—სულ თვრამეტი ვერსია—წამსვლელ-წამომსვლელისთვის ეტლები აუცილებელ საჭირონი შეიქმნა. ამით ისარგებლეს ზოგიერთ კერძო კაცთ და გაიჩინეს ეტლები. მაგრამ იმათს ეტლებზედ შეუძლებელი გახდა მუდმივი და გადაჭრილი ნიხრის დადგენა. ამ ვაჟბატონებს რამდენიც სურდათ, მგზავრსაც იმდენი სასყიდელი უნდა მიეცა, ასე რომ ხშირად კაცის თავზედ ორსა და სამს მანეთს იღებდნენ. თუმცა ოზურგეთლები ბევრს ეცადნენ, რომ იმათი თავნებობა აელაგმათ და ამ აზრით ადგილობრივს მართველობასაც მიმართეს, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულნი ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად ერთად შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს: შევადგინოთ ამხანაგობა, მოვკრიბოთ კაცის თავზედ ორი თუმანი და ამ ფულით ვიყიდოთ ეტლებიო. სთქვეს და კიდეც აასრულეს. იმავე დღეს შეაგროვეს საჭირო ფული და თხუთმეტის დღის განმავლობაში ეტლებიც გაიჩინეს, მაგრამ აქამდის იმათი ამხანაგობა დამტკიცებული არა ყოფილა, რადგანაც სასურველს რიგზედ ვერ ჰქონდათ დაყენებული საქმე და არც წესდებულება ჰქონდათ შედგენილი. ეხლა-კი წესდებაც შეადგინეს, ყოველივე საჭირო წესი და რიგი დაამყარეს და ამ სექტემბერში კიდევაც დაამტკიცებინეს ეს ამხანაგობა. ამ ჟამად ამხანაგობას აქვს სამი დილიჟანსი და რვა ფაიტონი თავისის ცხენებით. საქმის წარმოებისათვის არსებობს კანტორა, ჰყავს დირექტორი, რომელსაც ამხანაგობის წევრნი ირჩევენ ხმის უმეტესობით ერთის წლის ვადით; ჰყავთ მდივანი, მმართველი და ზედამხედველები, ერთის სიტყვით, ჯერ ჯერობით ამხანაგობის საქმე მშვენიერად არის დაყენებული. ეხლა ამხანაგობა მხოლოდ მარტო იმას უნდა ეცადოს, რომ საქმის წარმოებაში ავი სული არავინ დაებუდოს, სარმა არ გამოჰკრას, ყირამალა არ გადატრიალოს. ეს წინასწარმეტყველება ძლიერ მოსალოდნელიცაა და აი რატომ.

საზოგადოდ გურულებს და კერძოთ ოზურგეთლებსაც ერთი ფრიად ცუდი ჩვეულება გვაქვს. საქმის დაწყება და შესრულება ძლიერ სწრაფად ვიცით. რასაც-კი საგნად ავიღებთ, იმის შესრულებისათვის არავითარ ღონისძიებას არა ვზოგავთ, მაგრამ რაკი საქმეს სისრულეშიდ მოვიყვანთ, მერმე გავუგულგრილდებით, თავს მივანებებთ და თვალ-ყურს აღარ ვათხოვებთ. ამ ნაირად ჩვენი გაკეთებული საქმე მოუვლელობისა გამო ნელ-ნელა ფუჭდება. აი მაგალითად, ოზურგეთლებს გვქონდა გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომლის წარმოება პირველად მშვენიერად მიდიოდა, მაგრამ ჩვენი დაუდევრობის, თუ რაიმე სხვა მიზეზების გამო, აგერ ხუთი წელიწადია, რაც მისძინებია და, ვინ იცის, გამოიღვიძებს, თუ საუკუნოდ განისვენა! ეტლების ამხანაგობასაც რომ აგრე არ მოუვიდეს, სასურველია, ამხანაგობა ამთავიდგანვე დიდის სიფთხილითა და გამჭრიახობით მოეკიდოს თავისს საქმეს. ეტლების მართველებად და საქმის მწარმოებლებად იყოლიოს პატიოსანი, მცოდნე და გამოცდილი კაცები. თუ ამხანაგობა ამ თავიდანვე გონივრულად მოაწყობს თავისს საქმეს, მაშინ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მალე გაძლიერდება, გამდიდრდება და ვერა მახე ვერარას ავნებს.

თუმცა ოზურგეთის ეტლების ამხანაგობის შესახებს ლაპარაკს დიდი ხანი მოვანდომე, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მე ამხანაგობა დიდად სასარგებლოდ მიმაჩნია არა თუ მარტო ოზურგეთისთვის, არამეთ მთელის გურიისთვის და, თუ ნებას მომცემთ, იმასაც მოგახსენებ, თუ მართლა რა სარგებლობა მოაქვს ამ ამხანაგობას. პირველი და ყველაზედ მეტად თვალსაჩინო სარგებლობა ის მოაქვს, რომ ამხანაგობას ძლიერ იაფ ფასად მიჰყავ-მოჰყავს მგზავრნი ოზურგეთიდგან ნატანების რკინის გზის სადგურამდის: კაცის თავზედ ათს შაურს ახდევინებს. მეორე სარგებლობა ისაა, რომ წინად ეტლების პატრონები მალაკნები იყვნენ და, მაშასადამე, ის ფულები, რომელსაც გურულები ეტლების მოგზაურობის დროს ხარჯავდნენ, სამუდამოდ გადიოდა გურიიდგან, აქ აღარ ტრიალებდა, ეხლა-კი ეს ფული ისევ ოზურგეთში ტრიალებს, ჩვენგან აღარ გადის; მესამე სარგებლობა ისაა, რომ ამხანაგობა ყოველ წლივ თავისის მოგემიდგან თორმეტს თუმანს ეწევა ოზურგეთის ორ-კლასიანს დედათა სასწავლებელს. უკანასკნელი და მასთან ყველაზედ უპირველესი სარგებლობა კიდევ ის მოაქვს ამ ამხანაგობას, რომ ეს ამხანაგობა არის ერთად-ერთი შემაკავშირებელი ძალა ოზურგეთის ვაჭრებისთვის. რადგანაც თითქმის ყველა ოზურგეთის მოვაჭრე წევრია ამხანაგობისა, ყველა ერთს მიზანს ემორჩილება, ამხანაგობის წარმატებას და გამდიდრებას, მაშასადამე, ეს ერთი მიზანი იმათ აერთებს, აახლოვებს, ერთს მეორესთან მტკიცედ აკავშირებს და ამეგობრებს. ამ ნაირად ეს ეტლების ამხანაგობა ოზურგეთის ვაჭრებს ამზადებს სხვა საამხანაგო საქმეებისთვისაც.

რაც ზემოდ მოგახსენეთ, ის ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ ოზურგეთს ამ უკანასკნელს სამს წელიწადში გონებისა და მოქალაქეობრივის ცხოვრების მხრივ.

წასრულს წელს ოზურგეთის მცხოვრებლებმა დედათა ორ-კლასიან სასწავლებლის შენობას მიუმატეს ერთი დიდი დარბაზი, რომ იქ სცენა მოეწყოთ და დრო-გამოშვებით წარმოდგენები გაემართად. ამ ხერხით ოზურგეთლები ფიქრობდენ ორ სასარგებლო საქმის შესრულებას. ერთის მხრით უნდოდათ მცხოვრებნი თეატრში სიარულს დაჩვეულიყვნენ; მეორეს მხრით, წარმოდგენიდგან შემოსული ფული საქველ-მოქმედო საქმეებისთვის მოეხმარებინათ. მაგრამ აქამდისინ ამ დარბაზში არც სცენა ჰქონიათ მოწყობილი და არც რაიმე სასცენო მორთულობა. მხოლოდ ოქტომბრის პირველს რიცხვებში ოზურგეთლებმა ბ-ნ ნებიერიძის შემწეობით სცენაც მოაწყეს და სასცენო მორთულობანიც შეიძინეს. აი, როგორ მოხდა ეს საქმე. ოც-და-ხუთს სექტემბერს ოზურგეთლებს გვესტუმრენ ტფილისიდგან არტისტები: ბბ. ნებიერიძე, ქართლელი (თარხნიშვილი), ქ-ნი ნებიერიძისა და კნ. ციციშვილისა. ოზურგეთლებმა ისინი დიდის სიხარულით მიიღეს და წარმოდგენის გასამართავად დაუთმეს საქალებო სასწავლებელის დარბაზი, რომელშიაც ბ-ნმა ნებიერიძემ მოაწყო სცენა (ბ-ნს ნებიერიძეს ყოველივე სასცენო მოწყობილებანი თანვე ჰქონდა წამოღებული) და ოც-და-ცხრა სექტემბერს წარმოდგენაც გამართა. ითამაშეს: „ნეტავ ცოლებს რად ირთავენ“, „გულმა იგრძნო“, და დასასრულ ბ-ნ ნებიერიძემ წაითხა რამდენიმე სცენები ქართლის ცხოვრებიდგან. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენით.

მეორე დღეს ოზურგეთის საზოგადოებამ ბ-ნს ნებიერიძეს მიმართა და სთხოვა, რომ სცენის მორთულობა ჩვენ დაგვითმეო. ბ-ნმა ნებიერიძემ სცენის მორთულობისთვის ოზურგეთის საზოგადოებისაგან ფასი არ მიიღო, მაგრამ უსასყიდლოდაც-კი უძნელდებოდა დათმობა, რადგანაც იმისი სცენის მორთულებანი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, თხუთმეტი თუმანი მაინც ღირდა. ამ მიზეზების ასაცილებლად ბ-ნმა ნებიერიძემ შემდეგს ხერხს მიმართა: ხუთის სექტემბრისთვის მეორე წარმოდგენა დანიშნა ოზურგეთის საქალებო სკოლის სცენის სასარგებლოდ. აქედგან შემოსული ფული თვითონ უნდა აელო და სცენის მოწყობილებანი-კი საზოგადოებისთვის უნდა დაეთმო უსასყიდლოდ. ამ დღისთვის წარმოსადგენად დანიშნული იყო: „კინტო“, კომედია აკაკისა და „ბნელ ოთახში“. ამ მეორე წარმოდგენაზედ საზოგადოება პირველზედ მეტი დაესწრო და წარმოდგენამაც პირველზე ბევრად უკედ ჩაიარა.

ეხლა ოზურგეთის საზოგადოებას აქვს დარბაზი პაწია კოხტა სცენითურთ და ყოველივე მისი მოწყობილებაცა.

გ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც მკითხველებმაც უწყიან, საქალაქო საქმეთათვის დაარსებულმა დაწესებულებამ კანონიერად იცნო მეორე არჩევანი ბ-ნ იზმაილოვისა და ამ ცნობით დაამტკიცა იგი ქალაქის მოურავის ნაცვლად. ამ ზოგიერთ ხმოსანთა მიერ უკანონოდ მიჩნეულ არჩევანის კანონიერად ცნობას ჩვენმა გაზეთმა უკვე ერთი მეთაური წერილიც უძღვნა. რა-კი ბ-ნი იზმაილოვი ისევ რჩება ნაცვლად, ამიტომ საჭიროდ მივაჩნია მკითხველებს გავაცნოთ ეს საზოგადო მოღვაწე ისე, როგორც ამას წინად აწერილი ჰქონდა გაზ. „Нов. Обоз.“-ში ბ-ნს ვეტერანს. აი საუკეთესო და ბ-ნ იზმაილოვის ნათლად დამახასიათებელი ადგილები ბ-ნ ვეტერანის წერილიდგან:

საქმე იმაშია, რომ ბ-ნი იზმაილოვი, თითქმის საქალაქო დებულების შემოღებიდგანვე, ხელში ატრიალებს მთელს ქალაქის თვით-მმართველობას; ჯერ ისევ მდივნად იყო, რომ მთელს გამგეობაზედ დიდი გავლენა ჰქონდა; მაშინ-კი, როცა გამგეობის წევრობა ხელთ ჩაიგდო, გამგეობასთან ერთად საბჭოც დაიქვემდებარა, ის საბჭო, რომელიც დიდის მოწიწებით შესცქეროდა ბ-ნს იზმაილოვს. უმრავლესობისათვის იგი ის გოლიათი იყო, რომელსაც მარტოდ შეეძლო, ზურგით მოეკიდნა მთელი ტვირთი ქალაქის საქმეებისა; მხოლოდ განსვენებული სიმონ პეტრეს ძე ალადათოვი სთვლიდა მას ლილიპუტად და იმისის ნიჭისა არა სწამდა-რა; განსვენებული ამბობდა, რომ იზმაილოვი მხოლოდ ცქვიტი, მოხერხებული და ენა-გამჭრიახე მოსაქმეაო. ასეთ ურწმუნო თომადვე მიებარა მიწას ნეტარ სახსენებელი სიმონ პეტრეს ძე. მართლაც-და იმ ნეტარის დროს ბ-ნი იზმაილოვი ლამაზის ლაპარაკითა და ენის ცოდნით დაწერილის მოხსენებით უხვევდა თავს ჩვენს თვით-მმართველობის წარმომადგენლებს. გამგეობის წევრთა შორის ყველაზედ ცოცხალი და გამჭრიახე მაშინ ის იყო...

თხუთმეტი წელიწადი მიწერ-მოწერის საქმეს ადგა თავს, მოხსენებებს ისა სწერდა და არ შეიძლებოდა, რომ არ შეესწავლა საქმეები, რომელიც სწორედ

---

ლაშქარი არ შეეყარათ; ყველანი დაიჭირეს და წაასხეს თავისს მეფესთან, ქარმაღან-ნოინთან. მეფე გაურისხდა შეთქმულთა და ჰკითხა „რა მიზეზია თქვენის შეკრებისა, თუ არ განდგომა ჩვენგან?“ ხოლო ქართველთ მთავარნი არწმუნებდნენ: „არა განდგომად თქვენდა შევკრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქვენი და ხარკი გაგიჩინოთ“. ეს თქმა არ დაუჯერეს, გააშიშვლეს ყველანი, მხრები შეუკრეს და ტიტვლები მზეზე დასხეს, ესრედ უწყალოდ წამებულთა ყოველ დღე ჰკათხავდნენ მონგოლები: გვითხარით, თუ რა მიზეზით შეიკრიბენითო; თუ არ გვეტყვით ყველას, სიკვდილით დაგსჯითო. მაგრამ ქართველები სულ იმასვე უპასუხებდნენ: თქვენის ხარჯის გაწერისთვის შევიკრიბენითო“; ამბობდნენ ამას, მაგრამ არავინ-კი უჯერებდა. ამ წვალებაში იყვნენ ქართველნი, არც სიკვდილი აღირსეს და არც სიცოცხლე. სიცხეში ყოველ-დღე მზეზე გაჰყავდათ ტიტველნი და ხელფეხ-შებოჭვილნი და ონავარ ბუზებს აჭმევინებდნენ.

გაიარა მცირეოდენმა ხანმა. ცოტნე დადიანი შეყრილის ჯარით მივიდა დაპირებულს ადგილს ჯვარს რკინის (სამცხეშია) და მხოლოდ აქ გაიგო, რა უბედურება შემთხვეოდა ქართველთ თავ-კაცებს. მეტად შესწუხდა და „თვისად სიკვდილად შეჰრაცხა საქმე იგი“. თავისი ლაშქარი დაითხოვა და უკანვე გაჰგზავნა, ყველა თავ-თავისს სახლში, ხოლო თვითონ მარტო ორის კაცით გაეშურა ანისში, სადაც იტანჯებოდნენ შეთქმულები. ცოტნემ, „დამდებმა თავისა თვისისა მეგობართა თვისათვის“, გაიარა სამცხე, ჯავახეთი და მავიდა ანისს და ნახა, რომ მთავარნი ხელ-შეკრულტიტველნი ისხდენ მოედანზე.

იხილა თუ არა ესრეთი დამდაბლება თვისთა ამხანაგთა, სიკვდილამდე მიწევნულთა, ცოტნე სწრაფად მიუახლოვდა ტანჯულთ, გამოხტა ცხენიდამ, გაიხადა ტანი და მიჰყარ-მოჰყარა თავისი მდიდრული ტანთ-საცმელი. ესრედ განშიშვლებულმა, მხრები შეიკრა და მდუმარე დაჯდა დანარჩენ ამხანაგებთან მწუხარე სახითა. ეს ამბავი მონგოლებს დიდად გაუკვირდათ და მაშინვე აცნობეს თვისს მეფეს, „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა და განიძარცვა სამოსელი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“. მონგოლების დიდკაცობა ცოტნეს კარგად იცნობდა და ამისგამო მეტად გაჰკვირდნენ ყველანი. მაშინვე მოუწოდეს ნოინთან და ჰკითხეს მიზეზი ამ უცხო საქციელისა. ცოტნემ უპასუხა: „ჩვენ ყველანი აქა მჯდომარენი იმისთვის შევიკრიბენით, რომ გაგიჩინოთ ხარჯი და თქვენი ბრძანება შევასრულოთ, მაგრამ თქვენ ბოროტობად ჩამოგვართვით; მეც იმისთვის მოველ, რომ გამოიკითხოთ ეს საქმე და, თუ სიკვდილის ღირსი რამე უქმნიათ, მეც ამათთან დავისაჯო სიკვდილით, რადგან მეც მათ შორის ვიყავი, ხოლო თუ უბრალონი აღმოჩნდნენ, გთხოვთ, მეც უბრალოდ მიცნათ და გავმართლდე თქვენს წინაშე, რადგან, ჩემდა დაუკითხავად, ამათ არა უქნიათ რაო“.

ეს რომ ცოტნესაგან გაიგონეს ნოინებმა, დიდად გაუკვირდათ ესრეთი მისი მაღალი ზნეობა და სთქვეს: „რადგან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილნი არიან და არა ეცრუებიან ერთი-ერთსა, რომე აფხაზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, რათა დასდვას სული თვისი მოყვასთა თვისთავის და განწირა სული თვისი სიკუდიდ, არა არს სიცრუვე მათ შორის და ამის ძალით უბრალოდ ვპოვებთ: ამისთვის განვუტეოთ ყოველნი და ნუღარა ვსჯით“. მაშინ უთხრეს ცოტნეს, ჩვენ გვეგონაო, აჯანყებას გვიპირობდითო და ახლა, რაკი ვნახეთ თქვენი ნამუსიანობა, შენთვის მოგვინიჭებია ეს ქართველები და შენ გენდობითო. ტყვენი გაანთავისუფლეს. თავი ქართველნი გარდაჩნენ სიკვდილს და დამდაბლებას.

ზემოხსენებულის მონასტრის კედელზე, სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, დახატულნი არიან სამნი: ერთი შუახნის კაცი, მოკლე წვერიანი, ჭრელს და მეტად უცხო ტანისამოსში, თავზე ჰხურავს მაღალი ქუდი, ფერადებით და თვალ-მარგალიტებით დამშვენებული. იმის მარჯვნივ დახატულია ლამაზი, ახალგაზდა დედაკაცი, საუცხოვო ტანისამოსით, ხოლო ამ ორთაშუა ჰხატია ყმაწვილი 8—10 წლისა, მდიდრულადვე ჩაცმული, პირველს აწერია ასო მთავრულით: „ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი“, მეორეს: „დედოფალთ დედოფალი ნათელა“ და მესამეს: „ძე ამათი ცოტნე“.

ზემოხსენებული სურათნი მეტად

იმის გამგეობის წევრად ყოფნის დროს იყო აღძრული. ხმოსნები ჩვეულებრივ იშვიათად დადიოდნენ საბჭოს კრებაზედ და ქალაქის საქმეებისა ზუსტად თუ იცოდნენ რამე, ბ-ნი იზმაილოვი-კი ყოველთვის აღჭურვილი იყო ცნობებით და ამ ცნობების ცოდნა ხომ იმისს პირდაპირს მოვალეობას, იმისს სამსახურს შეადგენდა. მთელს დაწესებულებაში იმან და ორიოდ-სამიოდე კიდევ სხვამ თუ იცოდა რამ რიგიანად საქმეებისა; დანარჩენთ ან საყურადღებოდ არ მიაჩნდათ და ან თავს არ უდებდნენ, და შრომას არა სწევდნენ საქმის შესწავლაზე, ბრმად სჯეროდათ არამც თუ მარტო საქმის პირობები, ბ-ნ იზმაილოვის მიერ ნაუწყები, არამედ მისი ასე თუ ისე გადაწყვეტის სიავ-კარგეც. ამ შემთხვევაში-კი ბ-ნი იზმაილოვი ხშირად ეწეოდა მეჭურჭლეობას და ყურს, საითაც უნდოდა, იქით გამოაბამდა ხოლმე. იყო ისეთი დრო, როცა ბ-ნი იზმაილოვი, ლიუდოვიკ მე-XIV-სავით, თუ ხმა-მაღლა არ ამბობდა, გულში მაინც ჰფიქრობდა, რომ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა მე ვარო.

ბ-ნი იზმაილოვი „მოძრავი ენციკლოპედია“ იყო ქალაქის საქმეებისა და საბჭოც მოუმზადებელი, საქმის არ მცოდნე, ისე არდგენდა საგანს, როგორც ბ-ნი იზმაილოვი ეტყოდა და ურჩევდა.

არც ერთი სპეციალური, ტეხნიკური საქმე არ იყო, რომ ბ-ნს იზმაილოვს თავისი საკუთარი აზრი არ წარმოეთქვა. ყოველგან ერეოდა და პირველობას არც ერთს საქმეში არავის უთმობდა. თავის აზრის უთქმელად და ჩაურევლად არ დაუტოვებია არც ქიმიურად განხილვა ავჭალის წყაროებისა, არც გეოლოგიური აგებულება იმავე ავჭალის ნიადაგისა, არც წყლის გასაყვან მილების საქმე და არც სათეატრო, სასანიტარო, სასუროთ-მოძღვრო და სხ. საქმენი, არაფერი, სულ არაფერი; მცოდნე და მეცნიერის კაცის გამბედაობით მზად არის ისეთ აზრის შესახებ დაიწყოს სჯა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიანთ. დარწმუნებული ვარ, რომ თვით დალაილამის როლსაც-კი ისე ადვილად შეასრულებს, როგორც ცნობილის ტფილისის წყლის მილის გამომყვანის როლი შეასრულა. გამომყვანსაო ვამბობთ იმიტომ, რომ ბ-ნი კონრად, იზ-როვი და სხვანი მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რასაც ყოვლად მცოდნე პავლე ალექსანდრეს ძე უბრძანებდა. ბ-ნი იზმაილოვი ისეთს სატეხნიკო საქმეშიაც-კი, როგორიც იყო ბ-ნ იარალოვის მიერ აღძრული საქმე წყლის მილების სიავკარგისა, სპეციალისტებს შეეკამათა და საბჭოს მოაწონებინა საქციელი გამგეობისა, რომელმაც ბელგიის საზოგადოებასთან შეკრულს პირობას რიგიანად არ მიჰხედა და ამის წყალობით ამ საზოგადოებამ თითქმის 200,000 მანეთისა ისეთი მილები გაასაღა, რომელიც არც პირობაში აღნიშნულის ხარისხისა იყო და არც სხვა იქ დასახელებული ღირსება ჰქონდა.

ერთის სიტყვით, ბ-ნი იზმაილოვი ჰბატონობდა და ეხლა ვიმკით ჩვენ იმას, რაც იმან თავისის ბატონობითა და ყოვლად-მცოდნეობით დასთესა. თუმცა ამისის ბედის ვარსკვლავი ისე ბრწყინვალედ აღარა ჰკაშკაშებს, მაგრამ მისი თორმეტის წლის განმავლობაში თვალ-ყურ უდევნებელი ბატონობა და მართვა საქმეებისა, მეტად მძიმე ტვირთად დააწვა ქალაქს, რომელიც გაკოტრებისა და გაღარიბების გზაზედა სდგასო. აი ამ აზრისაა ბ-ნი ვეტერანი ბ-ნ იზმაილოვის მოღვაწეობის შესახებ და კიდევ ბევრი მაგალითი მოჰყავს იმის საუკუღმართო გავლენისა. ამ წერილს კიდევ დავუბრუნდებით შემდეგში.

## რუსეთი

მთავრობამ ნება დართო, რომ ქალაქს კიშინევში კრება მოხდეს რუსეთის იმპერიის ღვინის დამყენებელთა. კრებაზე მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის იმპერიის ყველა იმ ადგილის წარმომადგენელნი, სადაც-კი ღვინის ხელობას მისდევენ, მაგალითად წარმომადგენელნი კავკასიისა, ყირიმისა, დონის მხარისა და სხვ.

— ყაზანის გუბერნიის ცივილის მაზრის მცხოვრებელთა შორის ათასნაირი სენი გაჩნდა, რადგან ხალხს, მოუსავლობით დაზარალებულს, საჭმელი სრულიად აღარა აქვს-რა. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა 20,000 მან. მისცა ხელთ ყაზანის გუბერნატორს ხსენებულ მაზრის მცხოვრებთა დასახმარებლად.

— ყაზანისავე გუბერნიის ჩებოკსარის მაზრაში 47 სოფელმა განაჩენი დაადგინა სასმელების დუქნების დაკეტის შესახებ. ეს განაჩენები მთავრობამ შეიწყნარა. ხსენებულ განაჩენთა დადგინება სოფლებში გამწვავებულმა სიმშილმა გამოიწვია.

— ჩრდილოეთს რუსეთში, არხანგელსკის გუბერნიაში, ნავთის წყაროები აღმოაჩინეს. ამის გამო ფულის პატრონებმა ამხანაგობა შეადგინეს და ჰსურთ ნავთის წარმოება დაიწყონ ხსენებულს გუბერნიაში. ხსენებული საზოგადოება მომავლის წლის იანვარში ერთს სამთო საქმეთა მცოდნე კაცსა ჰგზავნის არხანგელსკის გუბერნიაში ნავთის წყაროთა გამოსაკვლევად.

— ფინლიანდიის რკინის გზათა ადმინისტრაცია შუამდგომლობს ფინლიანდიის სენატის წინაშე, რომ რკინის გზის სადგურების ბუფეტებში აღკრძალულ იქმნას ყველა სხვა მაგარ სასმელის გაყიდვა, გარდა ლუდისა.

## წვრილი ამბავი

14 ნოემბერს, როდესაც ბისმარკმა ბერლინზე გაიარა რკინის გზით, ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა. საღამოს 6 საათი იყო, როდესაც მატარებელი მივიდა ბერლინში შტეტინის სადგურზე. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი იმ ადგილას ბისმარკის სანახავად და მისასალმებლად. პოლიცია მხნედ ირჯებოდა, ხალხს ხელს უშლიდა ოვაციების გამართვაში, მაგრამ ვერა გააწყო-რა-კი. ხალხმა გაიხსენა ბისმარკის ღვაწლი გერმანიისადმი, მისი თავდადებული სამსახური და ამის გამო აღტაცებითა და მღელვარებით თანაგრძნობათა გამოცხადებას საზღვარი აღარ უჩნდა. ხელის ჩამორთმევის დროს ხელს ისე მაგრად უჭერდნენ, რომ ბისმარკს ხორცი უწითლდებოდა. გალმობიერებულს ბისმარკს ცრემლები მოადგა თვალებზე და ისე გადაუხადა მადლობა მიმგებებელთ. აქ-კი ყველას აუჩუყდა გული და ერთბაშად მორთეს ყვირილი: „დაბრუნდით ბერლინში! გასწით პარლამენტში! თუმცა ძველი იმპერატორი და მოლტკე აღარა გვყავს, მაგრამ დიდი კანცლერი კვლავ ცოცხალია სასიხარულოდ ყველა პატრიოტთა! ბრძანებათა განურჩევლად, ჩვენ ყოველთვის თქვენი მორჩილი ვართ!“ თაიგულებითა და ყვავილებით თითქმის სრულიად გაუვსეს ვაგონი ბისმარკსა. როცა მატარებელი დაიძრა, კინაღამ უბედურება არ მოხდა, რადგან ზოგი ვაგონს მოეჭიდა და ყვირილით აცილებდა ბისმარკსა და ზოგიც კიდევ გვერდზე სირბილით მისდევდა და ვაშა, ვაშას გაიძახოდა. პოლიცია ძლიერ უხერხულად და უთავბოლოდ იქცეოდა, მართალსა და ბრალიანს არ არჩევდა და ისე იჭერდა ხალხსა, და ამ გარემოებამ უფრო დიდი ფერი დასდო ბისმარკისთვის გამართულს ოვაციებს.

— უკანასკნელს დროს ინგლისში ბევრსა ლაპარაკობენ იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სასწავლებლებში ბერძნულის ენის სწავლებაო. ამ საქმეზე ამას წინად დიდი სჯა და ბაასი ყოფილა კემბრიჯის უნივერსიტეტის საბჭოშიაც. ბევრს ლაპარაკს შემდეგ საბჭოს 525 ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია: „ბერძნულის ენის სწავლება სასწავლებლებში საჭირო და სასარგებლო არისო“. მხოლოდ 185 კაცი ყოფილა ამ ენის სწავლების წინააღმდეგი. ამ გარემოებამ ხელახლად აალაპარაკა ინგლისური გაზეთები. გაზეთი „Speaker“-ი ამბობს: „ბერძნულის ენის სწავლება უეჭველად უნდა მოისპოს სასწავლებლებშიო. თუმცა საბჭომ ამ ჟამად საჭიროდ სცნა ამ ენის სწავლება, მაგრამ დღეს თუ ხვალ მაინც იძულებულ იქმნება, განდევნოს სასწავლებლებიდგან ეს სრულიად უსარგებლო ენაო“. ყველა შეგნებული კაცი დარწმუნებულიაო, ამბობს ეს გაზეთი, რომ თუმცა ბერძნულის ენის სწავლება სავალდებულოა ჩვენს სასწავლებლებში, მაგრამ რიგიანად-კი არავინა სწავლობს და ერთს კაცს ვერა ჰნახავთ, სასწავლებელში ეს ენა იმდენად მაინც შეესწავლოს, რომ ბერძნული წიგნი გაგებით წაიკითხოს, სასწავლებლებში ახალგაზრდობა უნაყოფოდ ჰკარგავს დროს მხოლოდ ელემენტარულის საგრამატიკო ცნობების შესწავლაზეო.

— რა მიზეზით დაეცა ბრაზილიის იმპერია? როგორ დაჰკარგა იმპერატორმა დონ-პედრო II-მ სამეფო ტახტი? ამ საგანზე ერთი კორესპონდენტი გაზეთ „Times“-ისა შემდეგს პასუხს იძლევა. 2 (14) ნოემბერს 1889 წელს ბრაზილიის პრემიერ-მინისტრმა ურო-პრეტომ დეპეშა გაუგზავნა რიო-ჟანეიროდამ პეტროპოლისში იმპერატორსა და სთხოვა, სასწრაფოდ წამოდი: ხალხში მღელვარება დაიწყოო. იმ დროს იმპერატორი ბანაობდა, დეპეშა სასახლის ექიმმა ჩაიდო ჯიბეში და შემდეგ კიდეც გადაავიწყდა, თუ დეპეშა მე შევინახეო. ბანების შემდეგ იმპერატორმა ცოტა მოისვენა და მერე წირვაზე წავიდა ეკლესიაში. ამ დროს კიდევ მოვიდა მეორე დეპეშა ურო-პრეტოსი. რადგან ვითომდა უბრალო საქმის გამო იმპერატორი არ უნდოდათ შეეწუხებინათ, ამიტომ დეპეშა მხოლოდ მაშინ მიართვეს, როცა ეკლესიიდგან გამოვიდა. იმპერატორი დაუყოვნებლივ წავიდა რიო-ჟანეიროში, მაგრამ, როცა მივიდა, რევოლიუცია უკვე გაცხარებული დახვდა. მალე ფონსეკის ბრძანებით კიდეც დააპატიმრეს დონ-პედრო. ამ სახით—ამბობს ბოლოს კორესპონდენტი—ბრაზილიის იმპერია იმის გამო დაეცა და დონ-პედრომ იმის წყალობით დაჰკარგა სამეფო ტახტი, რომ სასახლის ექიმმა ურო-პრეტოს მიერ გაგზავნილი დეპეშა ჯიბეში ჩაიდო და დაავიწყდაო.

— ედინბურგში ინფლუენცა იმ გვარად მძვინვარებს და იმოდენა ხალხი დააავადა, რომ ზოგმა სავაჭრო ფირმამ წარმოება და საქმეები შეაჩერა, რადგან მუშა ხელსა და მოსამსახურეებს ვეღარ შოულობს. თითონ ინფლუენცა ისე არა ჰხოცავს ხალხსა, ავადმყოფები მალე რჩებიან, მაგრამ შემდეგ ფილტვების ანთება მოსდით და ის უსწრაფებს სიცოცხლესა. მაგალითად, ერთის კვირის განმავლობაში თვით ინფლუენციით 5 კაცი მოკვდა და ფილტვების ანთებით-კი—51 კაცი.

## დეპეშა

19 ნოემბერი

პეტერბურგი. „Journal de St. Petersbourg“ იუწყება რა დღეს პირველად, რომ საზღვარ გარეთიდგან დაბრუნების შემდეგ მინისტრი გირსი მუშაობას დაიწყებს ხელმწიფე იმპერატორთან ერთადაო, ამბობს, განსაკუთრებით საწამლელად წასვლამ საზღვარ გარედ მაინც კიდევ ერთგვარი ცნობანი მოგვცა ხელშიო. პირველს ხანში მწერლობა უმართლოდა სჯიდა ამ საგნის შესახებ, ხოლო შემდეგში რუსეთის

---

საყურადღებო და ძვირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც აფასებს წარსულს და გონივრულის თვალით უყურებს აწმყოსა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ჩვენის ისტორიის მოღვაწეთა სურათებს დ სხვათაც, რომელნიც მრავლად მოიპოვება საქართველოში, ჩვენი საზოგადოება არ დაჰკარგავს; ეს სურათნი ჯერ კიდევ სჩანან, მაგრამ შესაძლოა მალე გაჰქრნენ, როგორც ბევრი სხვა გაჰქრა სამუდამოდ ჩვენის დაუდევნელობით, იქვე ხობში დახატულია: ორი მეფე—დედოფალი უწარწეროდ, დადიანი გიორგი, დადიანი ლევან, და შვილი მისი მანუჩარ: მარტვილში: დადიანი ლიპარტიანი გიორგი (XVII საუკ.) თანამეცხედრე მისი ლიპარტიანის ქალი ხვარამზე ისტორიისაგან უცნობი, ჰყონდიდელი ევდემოს, კაცია ჩიქოვანი (XVII საუკ.) ცოლი მისი, მიქელაძის ასული სევდია, გ—ი ჩიქვანი, ოტია ჩიქვანი, ჩიქვანი კაცია და ცოლი მისი ალი, ჩიქვანი იესე;— ბევრი სურათებია გელათში, ვარძიაში და სხვაგანაც. რამდენი შესანიშნავი სურათი წაიშალა მცხეთის, სამთავროს, ატენის, ბოლნისის, სამთავისის და სხვა ეკკლესიის კედლებზე!

ჩვენმა ისტორიამ არ იცოდა ვინაობა ზემოხსენებულ მოღვაწეთა. თუმცა შერგილ დადიანი მარტვილის წარწერაში აღმოიკითხა ბროსემ, მაგრამ მისი ვინაობა ვერ განმარტა (Rap. VII, 47, 16), ხოლო მისის მეუღლის სახელიდამ შეცდომით აღმოუკითხავს მხოლოდ პირველი ასო „თ“ (ქრ) (A dd. IX p. 646). ნათელა და შერგილ მოხსენებულნი არიან იმ ძვირფასს თამარ-მეფის გულზე სატარებელ ხატის წარწერაში (ხობშივე), რომელშიც ჩასმულია ძვირფასი თამარ-მეფის ჯვარი, თვალ-მარგალიტებით შემკული. ამ ხატზე სწერია: ჴ, ხატო არსებისაო, უცვალებელო მეოხ და მფარველ ექმენით აქა და საუკუნესა ერისთავთ ერისთავს დადიანს შერგილს და მეუღლით ჩემით დედოფალთ დედოფალი ნათელ (ა)“ — — — ხოლო თვით ჯვარზე აწერია ასო მთავრულით ჯვარის სახედ:

ძელო
ჰეშ
მრტ
ო ძა—
ლოჯუ—
არისაო: შენითა: წწ: ძლომითა ყდ—
ვე შემწე და მფარველ ექმენ მეფე—
სა დ
ა დე
დოფ
ალსა
თამარს.

ე. ი. ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისო, შენითა წინასწარძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს.

საზოგადოდ დადიანების გვართა შტო ან დაკარგულია, ან მეტად არეული მე-XIV საუკუნემდე. ჩვენ ვიპოვეთ რამდენიმე წარწერანი, რომელთაგან თითქმის დაჭეშმარიტებით აღსდგა უმთავრესი შტო დადიანებისა XII—XIII საუკ. აი ეს შტო:

1) უდუ და ცოლი ლელა და მეორე ცოლი თეონილა 2) ძე ამათი: ა) ზვიად თეონილასაგან, რომელიც იყო კახაბერის ასული, თამარ მეფის დროს ბ) გიორგი. 3) შერგილ (ძე ზვიადისი?) თამარ და გიორგი ლაშას დროს და ცოლი ნათელა 4) შერგილის ძენი: ა) ცოტნე ზემოხსენებული ბ) ბედიან დადიანი, მანდატურთ უხუცესი და ცოლი მისი ხვაშაქი ქართლის ერისთვის ბეგაჲს ასული, დავით მეფის ნარინის დროს, გ) ვარდან დადიანთ. 5) ბედია დადიანის ძენი: ა), რაშაპრი; ბ) გიორგი I † 1323 წ. და გ) ივანე. (ეს შტო დიდად განირჩევა ბროსეს მიერ საქვეოდ შედგენილისაგან (Hist. g. A dd. IX, p. 646). ამათ შემდეგის დადიანების სია გამოკვლეული აქვს ბროსეს, თუმცა-კი არა უნაკლულოდ.

არა ერთჯერ თქმულა და ეხლაც ვიტყვით, რომ თუმცა ბროსემ დიდი და ფრიად სახელოვანი ღვაწლი დასდო ჩვენს ისტორიას, მაგრამ ჩვენი ეკლესიები, ხატ-გუჯარ-წიგნები და სხვა საარქეოლოგიო ნივთები ჩვენის ქვეყნისა ჯერ სრულიად აღწერილი არ არის, დღითი-დღე ბევრი რამ გვეკარგება, გვეპობა, ან, რაც წასაკითხი დაგვრჩენია, ჯერ-ჯერობით რიგიანად წაკითხული და გარკვეული არა გვაქვს. ეს პირველად თვით განსვენებულმან დიმ. ზ. ბაქრაძემ გამოაცხადა და, ვგონებთ, დრო არის ამ საგანს ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს საქმით და არა მხოლოდ ლიტონის სიტყვით და ოხვრა-სულთქმითა...

—ეგრი—

დარბაისელმა გაზეთებმა შეიგნეს ჭეშმარიტი მნიშვნელობა მოლაპარაკებათა მინისტრის იტალიასა და პარიჟში ყოფნის დროს. ეს გარემოება უფრო გამოარკვევს საქმეს, უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას მოსპობს და წინდად დაედება საურთიერთო ნდობასა და მშვიდობიანობის გახანგრძლივებასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 35 | 8, 40 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $167^1/_2$ | 16 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა | $216^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 200 | — ,, | 203 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

### ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

### ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამბოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საagენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

---

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში ვაჭრობა მოხდება სამის წლის ვადით იჯარით გასაცემ ბორნისა, რომელიც დადის მტკვარზე მუხრანიანთ ქუჩის პირიდგან რიყემდე. პირობათა შესატყობად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის კანცელარიას დილის 10 საათიდგან 12-მდე. (6—3)

---

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი. | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჰონქაძისა | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი | „ | 50 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძასა და ი. მაჩაბლისა | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკლესიო ისტორია მისივე | „ | 45 |
| იავნანამ რა ჰქმნა? სმყმაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე | „ | 25 |
| გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი „ II სტერეომეტრია „ III უმდაბლესი გეოდეზია „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლაგარითმოსის ტაბლიცებისა | „ | 50 |

---

## „ქართველთა ამხანაგობის“
### წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) „ 40 კ.
კედლის კალენდარი 1892 წლისა „ 40 კ.
თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ „ 30 კ.
იგივე ყდით „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა „ 15 კ.
„ცდა“ III წ. „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

---

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა | 1 | 20 |
| იგივე ყდით | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა | „ | 20 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 20-го Ноября 1891 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.